

287
1930/2




გაუგაჩვოს საქ. კოაპერატივის
მე-VII-ე ყრილობას!!

გაუგაჩვოს
კოაპერატივს!

ДЯ ЗДРАВСТВУЕТ
VI ЗАК. С'ЕЗД КОМПАРТИИ!

გაუგაჩვოს
კოაპერატივს!

მე-VII-ე | VI
საქ. კოაპ. |
ყრილობა ს'ეზა (ზაკ) კ. პ.



ს. ა.

ყოფილება:

- რას ამბობენ, რა ხდება ნეტავ ყრილობაზე?
- რაც არ უნდა სთქვან, ჩვენთვის სახეირო მაინც არაფერი მოხდება.



— ვასიკო, ბიჭო, არა გრცვენია, რომ „ახალ მთავროსად“ გამოჩნდები ჩვენსას? — ხომ არაფერი მიწყენინებია შენთვის? „ძალი რომ კუღით მიმათრევდეს“ ბიძა შენი ვარ, ღვიძლი ბიძა. შენ ხომ ჩემს ხელში აღზრდილი ხარ?..

მიუაღერსა თავის დისწოლოს. კომკავშირულ ვასიკოს, სილიბისტრო შხამაძემ, რომელიც თავის სოფელში შეძლებულ მოსახლეთ ითვლებოდა წინათ, დღეს კი, მეტი რომ არ ვთქვათ, საბჭოთა წყობილების მტერი გამხდარიყო.

— რა გქნა ბიძა ჩემო. იმდენი საქმეები მაქვს, იმდენი, რამდენიც თავზე თმა. ერთი წუთი მოცალდება არა მაქვს. თუმცა კაცმა რომ თქვას, მაინც და მაინც არც ისე დიდი სურვილი მაქვს თქვენთან მოსვლის. ჩვენ შორის, ბიძა ჩემო, დიდი ხანია „ხიდი ჩატყდა“: მე ახალ ცხოვრების მშენებელი ვარ, კომუნისტური საზოგადოებისათვის მებრძოლი. შენ კი უკან გვეწიწები, ჩვენი მტერი ხარ. რა საერთო უნდა გქონდეს ჩვენ ერთმანეთთან?... სიცილხარხართ ამბობდა ვასიკო.

სილიბისტროს ნემსივით ჩხვლეტდა ვასიკოს ყოველი სიტყვა.

— შენ, ეი, ვის უბედავ მაგეებს! გესლიანი ღიმილით შეუტია სილიბისტრომ მას და იმ წუთშივე კილო შეაცვალა.

— ხო, მართლა, კინალამ დამავიწყდა, რომ შენ „კომწომოლი“ ხარ. გამიბედავ კი არა შეტსაც მიწამ. კი მარა, ბიჭო, თქვენ წომ ღარიბ-ღატაკების პარტია ხართ. მეც ხომ ლატაკი ვარა ყველაფერი წამართვით. რალა გინდათ ესლა ჩემგან. პირიქით, პარტიაში უნდა ჩამწეროთ. მეც ხომ თქვენი ვარ. მარა მაგას თავი დაეანებოთ. შენ ის მითხარი: გულახდილათ, პირდაპირ: როგორაა თქვენი

საქმე? ღმერთი თქვენ არ გწამთ და კაცი! ერთი მეფე გვევდა და ისიც ჩამოაგდეთ. ვისაც რამე გეჭონდა, მოგეტაცეთ, წაგვართვით...

ვასიკო, ერთი ეს მითხარი: პარტიის კონფერენციაზე სცხებენ, არა ერთმანეთს? მემარჯვენეები გამოვიდენ არა? ვაცხონე მათი მარჯვენა! მაგრათ დაუტყბით თქვენთვის!.. ხელჩართული ბრძოლა ყოფილა. შენც ხომ არ მოგხედენია? თქვი რალა, ნუ გრცვენია! ესლანდელი ხელმძღვანელების მაგიერ თვითონ ჩაუგდიათ ძალა-უფლება ხელში. ესლა ხომ ყველაფერი დაგვიბრუნდება! რას იცინი? ვითომ და მართლა არ იცის! თავს ნუ იკატუნებ ბიძა! ისეთმა კაცმა მითხრა, რომ მას ტყუილიც დაეჯერება. დაბალი ხმით სთქვა სილიბისტრომ.

— რას ამბობ, ბიძა ჩემო? ყველაფერი ეს „ტყუილიზაცია“ და მეტი არაფერი. პარტიულ კონფერენციაზე არც მემარჯვენე და არც მემარცხენე არ გამოსულა. არც ერთი ჩვენი კონფერენცია ისე ერთსულვნათ არ ჩატარებულა, როგორც ეს უკანასკნელი. ნეტავი ვინ მოქორა ეს „სიბრძნე“? ამბობდა ვასიკო და სიცილს ვერ იკავებდა.

— იცინი რალა? ჩვენი კოწია ხომ ტყუილს არ იტყოდა!.. სთქვა სილიბისტრომ და თავი ჩალუნა.

— რაო? კოწია დაბნეულადემ გითხრა ეს? მერე და მას დაუჯერე? ის ხომ ბიძა ჩემო, „ყოფილი კაცია“! რომელიც ალბათ ჩვენი კონფერენციათ „გულზე სკდება“! იცი ბიძა ჩემო რას გირჩევ, თავი დაანებე ფუჭ ოცნებას! სულერთია, წარსულ ცხოვრებას ვერ დაიბრუნებ. მშვიდობით. კრებაზე მეჩქარება! — ვასიკომ ცივათ ჩამოართვა სილიბისტროს ხელი და თავის გზას გაუღდა.

უშვაბარა.



ყოფილი ვაჭრის მოგონება

მაი დედასა, რა დრო დავკარგე, დრო მოგებისა, დრო სანეტაროს! რაც კი მებადა, სულ მთლად წავაგე, დამიშრა ტკბილი ცხოვრების წყარო.

მქონდა ჭონება უძრავ-მოძრავი და მასთან ერთათ მქონდა პარტივი. ესლა დამჩხავის თავზე მე ყვავი და გულს მიკოდავს კოთაპერატივი.

ვაჭრობაც მქონდა განადგობული მყიფი საჭონელს ნაღდად და ნარლად ვიყავ ცხოვრებით გალაღებული ნაკლოვანება არ მქონდა დარლად.

სახწავლებელში შვილებსაც ვზრდიდი და ცოლიც მყავდა კობლად ჩაცმული, ვაჭრებში მქონდა სახელი დიდი, ვაჭარი ვიყავ სახელგანთქმული.

ესლა რალა ვარ, არაფრის მქონე, აღარც დუქანი, არც საჭონელი; აღარც ჯანი მსქეს, დავკარგე ღონე და დამიწვრილდა კისერი სქელი.

რომ გაუქმმავს ჩემს ნაღუქმარზე მუშკომს პასაჟი უზარმაზარი, როცა შევხედავ ვიშენები ქვაზე დავხრებები ვით ცოცხალ-მკვდარი ჩემი ნოქრები, წინათ რომ მყავდა, დუქნებს განაგებს ესლა სულყვითლა; ჩემი ცოლი კი ისე გატყავდა,

დადის უკაბოდ და ფეხშიშველა. რა გქნა, რა ვუყო ასეთ ცხოვრებას, ვით შევეფუო ფულებს ჩემული, შემომქლია ძველი ჭონება, დავდივარ შალვარ-გამოხეული.

უინაშრი.

— დავვაგვიანდება, კაცო. კრება 7 საათისათვის არის. მოწყვეთლი, — მერე რა! ფერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს, ცხრა სათამდე არ შეიკრიბებიან!



— ექიმო, ფეხი მოვიტეხე!
— შა, წამალი დალიე, 20-20 წვე თი, ღღეში სამჯერ!

„საქმის კაცი“

პორტფელი მაქვს ვებურთოდ...
მისი თრევით არ მაქვს გნატი.
სავსე არის, ყველგან დამაქვს
მიტომ მქვია „საქმის კაცი“.
უფროსებთან მეღია ვარ,
უმცროსებს კი—ლენს ვავაცლი,
ისე ვყვირი მე ხმაშალა,
როგორც მართლა „საქმის კაცი“.
კრებზე წედაც გამოვდივარ,
ახალ წვერებ-მონაპარსი.
თითო საათს ვლაპარაკობ,
რადგანაც ვარ „საქმის კაცი“.
ჩემთან მოხვალ, ხმას არ გაქცემ
და სიტყვის თქმას არც შენ გაცლი;
გაგისტუმრებ უპასუხოდ,
რადგანაც ვარ „საქმის კაცი“.
როცა ფული მომიწდება,
მე სალაროს ავაცანცელი.
ავანები ხშირად დამაქვს,
მჭირდება, ვარ „საქმის კაცი“.
მივირის მხოლოდ რევიზია
მუშაობას რათ არ მაცლის;
გამსახლისკენ რად მაგწავნის...
მისთვის, რომ ვარ „საქმის კაცი“?
ბარცხანელი გეზლია

სკანა ტელეფონთან ნატანები

— ვინ არის ტელეფონთან? ა? ვა-
ლაქტიონ სამსონიძის ოჯახობა? თვით
ვალაქტიონი სად არის? რაო? ნარდს
თამაშობს! ახაზიანი დავიდავბასეა?
რაო? ვალაქტიონის ნახვა სასადილო-
ში შეიძლება! სამუშაო დროს რა უნ-
და სასადილოში? ააა? თქვენ ასრუ-
ლებთ მის მოვალეობას,—როგორც
ცოლი? ხოო, ძალიან კარგა... მაშ ნა-
ხვამდის!

მის-სკი

პირი ლეისონ პირი ლე

იქნებ რომელიმე თქვენგანს, ძვირ-
ფასო მკითხველებო, ქუთაისში ჩასვ-
ლა მოუხდეს.

გახსოვდეთ ერთი რამ: იმდენი უნ-
და ეცადო, რომ ადგილობრივ გამას-
წორებელ სახლში არ ამოჰყო თავი.

გამსახლში ჯდომა არაეისი იდეალი
არ არის, მაგრამ ქუთაისის გამსახლი
მანაც განსაკუთრებული რამ არის და
ამიტომ ფრთხილად!

ერთდეთ ქუთაისის გამსახლს, რად-
განაც იქ უფროსობს მოქალაქე ვი-
რილე წივწივაძე, კაცი ცოტა გაიძვე-
რა, ცოტა უბირო და ცოტა მოპოლი-
ციელოც... ესე იგი გვინდა ვთქვათ,
რომ მეფის დროს იგი პოლიციელი
იყო და ძველი ადათ-ჩვეულებები ძვე-
ლი ხურჯინივით თან დააქვს.

კირილეისონ კირილე კირივით კა-
ცია! გამსახლში პატიმარი ვაჟი ვერ
გაჭაქანდება, რომ კირილემ არ სცე-
მოს. ვერც პატიმარი ქალი იბოგინებს,
რომ კირილე არ შეეპატიეოს. (მო-
ვიგონოთ პატიმარი ქალები ნ. თუთ-
ბერიძე, ნ. ვოგოძე, ზედამხედველი
ქალი, პატიმართა ცოლები და სხ.,
რომლებიც ისე გულქვანი აღმოჩნდენ,
რომ კირილე ახლოც არ გაიკარეს).

ერთად ერთი „დადებითი“ თვისება
კირილესი არის მისი კოლეგიალობა.
იგი იმდენად „ამხანაგური და გაპტა-
ნია“, რომ მთელი წლის განმავლობა-
ში გამსახლის აპარატში გამოიცვალა
მხოლოდ:

კომენდანტი	11
უფროსი ზედამხედველი	10
უმცროსი ზედამხედველი	35
ჯამი	56 კაცი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წე-
ლიწადში 365 (ხან 366) დღეა, გამო-
დის, რომ ზემოდასახელებული რიც-
ხვი ფრიად მცირეა. მართლაც, მთელ
კვირაზე მოდის ერთი თანამშრომლის
გამოცვლა, მაშინ, როცა თუ კაცი მო-
ინდომებ, შეგიძლია ყოველდღე და-
თხოვო და მიიღო ორი—სამი კაცი.

ამ „დადებით“ თვისებებში უნდა
ჩაირიცხოს კირილეს ფიზკულტუროს-
ნობა: იგი საუცხოოდ ავარჯიშებს
მუშტებს პატიმართა ზურგზე, ისე
რომ შორიდან კაცს დოლის ხმა ეგო-
ნება

ამას გარდა, კირილე საუცხოოდ
ენმარება მსუბუქ კავალერისა. მან
გავითვალისწინა, რომ აქტიური კავა-
ლერისტი დატვირთული სრულიად

არ უნდა იყოს და ამიტომ სამსახური-
დან „განთავისუფლა“ გამსახლის სა-
უკეთესო კომენდანტი, აქტიური კომ-
კავშირელი, მს. კავალერიის ორგანი-
ზატორი და რედკოლეგიის თავ-რე-
ბ. კარტოზია, რომელსაც შემდეგ რე-
ვოლუციით სდევდა.


აი, სად გატარდა ერთმმართველო-
ბა! კიდევ მეტი: წივწივაძის დიქტა-
ტურა!


მართალია, ამბობენ, რომ მას ყავს
უახლოესი მეგობრები: შ. სვანიძე—
მეფანში, გ. ცერცვაძე—ყოფ. ოფიცე-
რი და ადკომი—ჯანგაძე, რომლე-
ბიც ყოველი მხრიდან უბრავეს!
სულს წივწივაძის ცუცხლს, მაგრამ
დიქტატურა მანაც წივწივაძის ხელშია.

რა ახლოს არის მოქ. წივწივაძე გამ-
სახლთან და რა ძნელი ყოფილა მისი
შეყვანა თვით გამსახლში, მხოლოდ
არა გამსახლის უფროსად!

ჩვენის აზრით, წივწივაძე სასამარ-
თლოს წესით უნდა იქნას არჩეული
გამსახლის საპატიო პატიმრად და ეს
რაც ჩქარა იქნება, მით უკეთესი პა-
ტიმრების ზურგისთვის, თვითკრიტი-
კისთვის და საერთოდ ჯანსაღი მუშა-
ობისთვის.

მელითონა.





— ექიმო, გვერდები მტკივა!
— ნუ დადინხართ ქალაქის კლუბში!

წმინდაჯე

— თქვენი წარმოშობა? ვისი შვილი ხართ?
— მამა ჩემი მღვდელი იყო, მაგრამ ღმერთი არ სწამდა. მონაწილობას ლებულობდა (ჯაშუში იყო) 1905 წ. რევოლუციისაში. უკანასკნელ რევოლუციის დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

არსებობს ტფილისში ინვალიდთა არტელი „ბრძოლა“, სადაც უმეტესად მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები.

— ჩვენ წმინდა ვერ შეგვაშინებს, რადგან ჩვენ ნამდვილი ინვალიდები ვართ! — ამბობენ ისინი და ამტკიცებენ:

— ინვალიდი ისეთ კაცს ჰქვია, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ხელობის უნარი. ჩვენაც დაკარგული გვაქვს თავისი ხელობის (ვაჭრობის) უნარი, რადგან აღმასკომმა გადასახადებით ტყავი კულის რიკამდე გაგვადრო.

— მართლაც ბრძოლა გვაქვს ჩვენი ვაჭრული არსებობისათვის და ამიტომაც ჰქვია ჩვენს არ ტელს „ბრძოლა“.

ჩიქორტული თარგმანი

კიდევ კარგი, რომ ჩვენსავე მოცლილი და უსაქმო სხვები არ არიან, თორემ ისინი შეამჩნივდნენ ქუჩებში სხვადასხვა წარწერებს, რომლებიც, თუ მელოტი არ ხართ, თმას ყალბზე დაგიყენებდნენ.

დღესაც ბევრია ქუჩებში ასეთი წარწერები, როგორიც ამას წინედ იყო — მაგალითად:

დანიელ ქონჭაძეს „დავით ჩონკაძე“ უწოდეს და ასე მონათლეს ყოფ. გუდოვიჩის ქუჩა.

ჭავჭავაძე და წერეთელი ასე თარგმნეს — „ჩაჩჩავაძე“ და „წერეტელი“.

დიდუბეში „ულიცა ბორბი“ „ქიდაობის — ქუჩა“-დ გადათარგმნეს.

აი, სად არის საჭირო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია!



გაკვრით ბორჯომში

ერთი ახირებული ჩვეულება მაქვს: ტფილისში სიტყვით მოუშვებს თუ არა, გაფხვნიერებ ხოლმე აგარეკებზე მივლინებებს.

ამას, რასაკვირველია, ბევრი მუშაკი გაუგებებს პრინციპისათვის, მაგრამ მე როგორც „უპრინციპო“ კაცს ამ შემთხვევაში — მომეტეება, ტარტაროზი მაინც კი მომიტევენ, რადგან მისი საკბილო მასალებით დატირებული ჩამოვდივარ ხოლმე ტფილისში.

კვირა დღე იყო. ბორჯომის მატარებელმა მშობიარე ქალივით მიაკივლა ბორჯომს.

ბორჯომი პირველად მენახა. ცხადია მოსაწონია და კარგი, მაგრამ ჩემზე ყველაზე უფრო კარგი შთებატლივით დასტოვა ველოსიპედების „კამანდამ“; ჯგუფჯგუფად რომ დასე არიბენ ქუჩებში.

— დღეს ველოსიპედისტების შეჯიბრება ხომ არ არის?

— რის შეჯიბრება, კაცო; ბორჯომში ისეთ კაცს ვერ ნახავ, რომ ველოსიპედი არ ჰქონდეს. ეს ძალიან კარგია.

— რაა კარგი? დაქცა მაგის მომკონი, რაც მაგი ბორჯომში ჩამოიტანეს, მას შემდეგ დაწესებულებაში თანამშრომელს ვეღარ ნახავთ, ზევით-ქვეით დასერიხებენ.

ბორჯომის პაერმა ძალზე კარგად იმოქმედა ჩემზე და წითელ სასადილოში შევედი.

— ჰო, სარიშვილი ვარ; უილაც გვიშლს... არ მსმის კარგად... უგრადიმე? სატყეოს გამე, ე.პ., რა მოხარული ვარ... — ასეთ საუ-

ბარს წავაწყდი წითელ სასადილოს ტელეფონთან.

— ბაღში სუფრა გაგიწალო? პაული სატყეო ხართ დაპატიუებული ქორწილში? კარგი, ძვირფასო უგრადიმე, მე მართალია მოწყენილი ვარ, გუშინ გამწმენდ კომისიამ პირველი კატეგორია ამაკრა შუბლზე, არასაიდან გაიგეს, რომ მე ის სარიშვილი ვარ, რომელმაც ბათომი მოვატყავე ჩემი სასადილოებით. უნ ძალზე თავდაპირილი კაცი ყოფილხარ, რომ წმინდაზე თავი დაიჭირე და ჩემი ამბები არ გამოაშკარავე თორემ... ხო, ისეთი მაგიდა გაგიწალო, რომ შემწვარი გოქი მისით მიჩიბოდეს თქვენს მშვენიერ და მოსაწონ პირ ში ჩემო უგრადიმე, ეხლავე მანდ გაეჩნდები — დაათვა სარიშვილმა და კმაყოფილმა არსენა ოქელაშვილივით ჩაიციხა უღვაშებში.

„მოვსპოთ სასადილოში ლოთობა“ — ასეთი წარწერა ამშვენებს სასადილოს, სიტყვა „მოვსპოთ“ მართლაც რომ ზეგამოჭრილია ამ სასადილოსათვის, რადგან იქ შემსვლელი მუშა გაუტყავებელი ვერ გამოდის გარეთ, რადგან ფანები ერთი-ორად გახრილია.

იმ დღეს სატყეოში აღარ შემვიღია, რადგან სახლი ქორწილში რჩებოდა და საჭმელს სულერთია ვეღარ გავაქეთებდი. მეორე დღეს შევიარეთ სატყეოში.

— თქვენ სატყეოს გამე გენბავთ?

— სულ ერთია, ოღონდ პასუხისმგებელი კი იყოს.

— უკარგავდ, მაგრამ ასეთები ორი დღეა სატყეოში არ არიან.

— რატომ?

— ჰე, მაგი რომ ვთქვათ, მაშინ „შვიდობით სატყეო“, ჩვენც აღარ ვიჭებთ ამ სატყეოში და მერე ხომ სულ დაკარიღებდებო? — მიპასუხა ერთ-ერთმა. რას იხამ, „პახმელის“ მდგომარეობაში ვინ არ ყოფილა.

გარეთ გლეხების რივი იდგა, გამგის ლოდინში. ერთი გლეხი ქალაღს ათ-მამებდა ხელში, ზედ ეწერა:

ბორჯომის სატყეო შეჯიბრებაში იწვევენ ახალ დაბის სატყეოს. პირობები:

- 1. რომელი უფრო მეტ გრძელ რიგს გააჩენს სატყეო მოსულ გლეხებისას,
- 2. ვინ უფრო გაატარებს დროს ქორწილში.
- 3. ვინ უფრო მეტ საშუაო დღეს გააცდენს და სხვ.

— მოიხინეს, დაადგინეს, კრება დარჩა მხიარული — ასეთი ლაპარაკით იქცევდნენ თავს კრებიდან ახლად გამოსულები და „ზაკტო“-ს წინ იდგენ.

— „ზაკტოს“ გამე ანდულუაქე ამ ბოლო დროს ძალზე დაეგია ქალების არსიყობას კოპერატეოში. ნეტავ ქალი ვიყო, მაშინ სანოვავე აღარ მომაკლდებოდა, ატური ქალები ძალზე პატივისცემაში არიან ანდულუაქის წყალობით. — საყვედურობდენ.



საბანაო პოლიტიკა

ბოროტმოქმედების აღგილვა

მარტის ცივი ღამეა. სძინავს დაბა ხარაგოულს. ხოლო „ეპოს“ მეხუთე სავაჭროში გამგე ოლია და მისი ნოქარი გალინა „დიდი ამბებში“ არიან, მუყაითობით მოსდით, რომ ასე დიდხანს რჩებიან სავაჭროში. დღით ვერ ასწრებენ მუშაობას და... და საქონლის გადაშალვას... ფასების მომატებას... მომატებულ ფასებიდან აღებულ ფულის განაწილებას და... და რაც მთავარია... და მთავარი ის არის, რომ... რომ... ღამეა. შუაღამეზე გადასულია. სძინავს დაბა ხარაგოულს. გრ. ბუაჩიძემ გაიარა „ეპოს“ მეხუთე მაღაზიის წინ. შიგნიდან სიცილ-სიმღერა მოესმა. შერქდა. (დარაბებიდან სინათლე მოსჩანდა). მიაყურა. შეიჭვრიტინა და შემდეგი სანახაობა გადაეშალა: დახლზედა იწვენ მთვრალეები... კოცნა... ლაღობა წყლიანი. ვაჟები ჰყავდათ ორთავეს, ტენიკინი, ტანაკვეთიანი. გრ. ბუაჩიძეს თმები ყალყზე დაუდგა. ხედავდა — როგორ ნიავედებოდა „ეპოს“ ქონება. მან გაკვირვებით უქვრიტა მათსა ლაღობა-წოლასა... „გათენაბამდე განანებ მაგა ვაჟების უოლასა! სთქვა და მილიციისაკენ გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ მილიციამ კარზე დააკაკუნა.

კარები ჩაიკეტეს. არ გააღეს. მილიციამ შეამტვრია. — ეს უსინდისობაა, ქალები ტანზე გახლიჩები ვართ და თქვენ შექოლიხართ! — პროტესტი განაცხადა ოლიამ და გაიქცა. გალინა იქვე დააპატიმრეს. ოლიაც შეიპყრეს.

„პოლიტიკოსი“

სპეც-ნელდინეთ ითვლება ნოე და ის მსახურობს ერთ-ერთ დაწესებულებაში. — ჩემდენი დღინო მგონი არც ერთ კაცს არ ეჩენება დაღუული. აქცა ვარ, მა რა ჯანაბა ვარ! — ხშირად



იფიქრებს ნოე, როცა წმენდაზე ლაპარაკი ჩამოვარდება. დაწესებულებაში, სადაც ნოე პასუხობს, მესხავით გავარდა ხმა, რომ ხვლიდან წმენდა უკვე დაიწყებაო. ბევრ თანამშრომელს ჰქონებოდა ტანში ჩუმი ციებ-ცხელება, რომელიც ამ ამბის გაგონებისთანავე გამოაჩნდათ. — მაშ ასე. ხვალ მე წმენდაზე გამოიმძახებენ! — ბოლთას სცემდა ნოე ოთხაში და ფიქრობდა. — აი, ესლავ მკირია, ჩემო ენა, შენი მოქნილობა, ელასტიურობა, მკერმეტყველობა და სიტკბო. დღეს სხვა დროა, თორემ მე ისეთი დიდი პოლიტიკოსი ვარ, რომ მინისტრი უნდა იყოს, გარეშე საქმეთა მინისტრი... ჩემს სპეცობაში ექვს ვერ შეიტანებენ... ნოე ვარ, ნოე... ნოე ხომ პირველი სპეც-მელდინე იყო... ეს მე კარგად ვიცი ბიბლიადან. უნდა გავიგო ვინ არის გამწმენი კომისიის თავმჯდომარე! — სთქვა მან და მამანვე გაიქცა გასაგებათ. რაქმე მიიღო ჰალმა. გაუქვირდა. — არა... ალბად შეგცდათ... სხვისია... მე არა! — დაბნეულად უთხრა მომტანს. — გარწმუნებთ თქვენია! ჰა წარწერაც! მართლაც სწერია „ამხ. ქავთარაძეს... ნოე“. — უკანვე მიუტანეთ! — ცივად უთხრა და... რაშია საქმე? ნუ თუ არ გასტკრა ჩემმა პოლიტიკამ! — დაღონდა ნოე და ხელში შერჩა უარყოფილი ჰალმა. —ლი.

რუბენ, რუბენ, შენსა მზესა!

— რუბენ, გვითხარ, შენსა მზესა, შენი საქმე როგორ იყო, მუშტებით რომ გვერდს ვიწვლდენ ხუთი კაცი მოგმდგარიყო! — მართალია, არ დაფიცავ; არც მაქვს შიში არავისა, რადგან მფარავს მწყალობელი ვიფარშივე მე შინ კარტში; იანვარში რომ დამხილეს, მოვირჩინე წელი მარტში. — რუბენ, რუბენ შენსა მზესა, არ დაუციო, გვითხარ ესა: მეღსანშრომში შენ ავტოთი სეირნობდი რამდენ დღესა? ცოლი გვერდში მოგვეჯინა, იყავთ პრინცი და პრინცესა. და როდესც, როგორც ელვა, მოხვეულში შეიქროლეთ, — დაეტაკეთ მეტბლესა, შიგ მჯდომნი ქვეშ მოიყოლეთ. ერთი, მგონი, კიდევ მოკვდა და მეორე დასახიჩრდა. ამის შემდეგ მეღსანშრომის მიტოვება შენ დაგვირდა! — მართალია, არ უარყოფ, არც მაქვს შიში არავისა,

რადგან მფარავს მწყალობელი კალთა ჩემი არამისა. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა, ნუ დაფიცავ გვითხარ ესა: მეღსანშრომსა რუს მოშორდი ხად ამოჰყავ შემდეგ თავი? — მინახულა მე არამმა რომ გაეგო ეს ამბავი, მანუგეშა, გამამხნევა, სულიერად არ დავეცი. ტუბდისპანსერს რკინის გზისან მოვევლინე როგორც სპეცი. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა, არ იცრუო, გვითხარ ესა: ამბობენ, რომ თუთხმეტ კაცსა გაუფუჭებ, თურმე ხელი. — ნამდვილს ამბობს მაგის მთქმელი არც მაქვს შიში სხვა რამისა, რადგან მფარავს მწყალობელი კალთა ჩემი არამისა. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა, ახლაც ვეპტუვი სიმართლესა: როგორ იყო, რომ სტუმრებით კიბეებზე დაგიშვესა და ქუჩაში დარჩენილი იწყველიდი ბედს და სვესა?

— მართალია, არ დაფიცავ, არ მაქვს შიში სხვა რამისა, სანამ მფარავს მწყალობელი კალთა ჩემი არამისა. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა როგორა გრძობ შენ თავს დღესა? — თქვენც ხომ იცით, ჩემო კარგნო, ბროლის ციხე მაღალია; ჩემი არამ მძლავრი არის, ჩემთან ხშირად მავალია. პურით, ღვინით სულრა მზად მაქვს, ზლომად ჰყრია სათალია. ათასჯერც რომ მცდარი ვიყო გამოვდგები მართალია. — რუბენ, რუბენ, შენსა მზესა... — ნუ მაყოვნებთ, თქვენსა დღესა, ღიბანს ვარ გამზადილი, იქ მაგზავნის ჩემი „შევი“. უნდა ზლომად წავიმგავრო კახური და „იმერ-ჩქევი“. რუბენს და არამს ორივეს აუკრათ ბარგი უხმითა და მათ დაგვიღვრე რკინის გზის მუშებსა გამოუხმითა.




პარსკომი ჩიტირკია — დასაფრთხ — და-სარკია

დამკვრელ - დამრტყმელი ბრიგადები

ტფ. აბრეშუმის საქსოვ ახალ ქარხნის ფაბრიკის თავმჯდომარე გურგენიძე არა-ვითარ საკავშირო მუშაობას არ აწარმოებდა. „მონტე-ქარხნის“ თოვლი ჩიტებს დას-დედა და მესკურსიებზე წასვლის დროს ლოთობდა. ქარხნში აღმოჩნდა გაფლან-გვა, გურგენიძე მიიშალა.

„2 მაისს, საღ. გურჯაანში ჩნუბი ასტეა კოსდ. გეტაშვილის დამკვერულა ბრიგადამ, იმის გამო, რომ ბრიგადის წევრები გამო-ადვიდეს საშასურის შესასრულებლად.“
მუშ. პაღის წერილიდან.



მუშ. ციკინათელას წერილიდან. ალბად ყველასათვის ცხო-ბილია, რომ ტფილისში მოწყო-ბილია ახალი აბრეშუმის ქარხ-ნა, რომელიც მუშაობს ამხანად და აერთიანებს რამოდენიმე ას მუშას. ქარხნის საქმიანობას სა-ერთოდ არა უშავს, მაგრამ ყვე-ლაზე აღსანიშნავი მაინც მისი ფაბრიკა, რომელსაც არეული აქვს ნახტომია და საკავშირო მუშაობის წილად ჩიტებს დას-დეგს, ხან კენტიად, ხან წყვილად.

ეს ყმაწვილი გურგენიძეა გვარად, მას მუშების მოთხოვ-ნილება არ უღირს ვარად, — სამაგიეროდ ქეიფობს მა-რად და ყლას უშვრება ღვინო რომ ნახოს ნადენი ღვა-რად. კულტმუშაობა, დამკვერელობა და სხვა ამისთანები ჩამოწერილი აქვს, როგორც დამკვერელი ამოცანები და სძინავს ამ ლამაზი სიტყვების სიაზე, ხოლო როცა წავა სადმე ექსკურსიაზე, დადგება თამადათ, მოჰყვება რე-ჩებს და უაზრო ტიკტიკს და როცა გამოსცლის მთლად ტიკს, — გამობრუებული ჩოჩორივით გაგორდება ბალახ-ში. ვიდრე არ ამოიგანგლება და არ ჩაეფლება ბინძურ ტალახში. ასეთი იყო გურგენიძის საქარხნო მოღვაწე-ობა და ამის მიზეზებს რაღათ უნდა მეოხა, თუ ქარხნ-ის თანხები სად გაიფლანგა უნუგემოდ, ან თვით ფაბ-რიკი სად ჩაიყლაპა უგემოდ?

რატომ ბარბაცებს კოსტა შარკ იძამი

„სტალინის მე-2-ზე რაიონულ პარტიკონ-ფერენციამზე ვალეშილი გამოცხადდა დე-ლეგატი კოსტა შარკიძემ, რომელიც გაძა-ფებული იქნა ტრიბუნად. 15 მაისს, ამავე შარკიძემ შეუწყარბებელი ხულიგნობა ჩა-იღინა მატარებლის ვაგონში.“


მუშ. მუშ. წერილიდან. ბევრს გონია, კოსტა შარკიძემ იმიტომ ბარბაცობს, რომ მან ჩაის ქიქებით „ჩაასხა“ (ე. ი. ღვინო დალია, მისი თქმით). ეს რომ ასე იყოს, მაშინ ყოველი კუროი, ან კას-რი ქანაობას დაიწყებდა, როცა მასში ღვინოს ჩაასხამენ.

ბეჭრი იმასაც ფიქრობს, რომ სტალინისის რაიბარტ-კონფერენციამზე შარკიძემ ღვინის სმაზე დიფყო ლაპა-რაკი და იმიტომ გამოაძევეს, — არც ეს არის მართალი, — პირიქით იმიტომ „გამოდევ-ნეს“, რომ ღვინის სმაზე კი არა, საერთოდ სიმთვრალისაგან ენას ვეღარ იბრუნებდა პირში.

ზოგს კიდევ გონია, რომ 15 მაისს მატ. № 191—192-ის ვა-გონში შარკიძემ იმიტომ გორავ-და მის მიერ დასველებულ იატა-კზე, რომ ვალეშილი იყო და ფეხზე ვერა დგებოდა.

რა ბრძანებაა... შარკიძის ბარბაცი და გორვა გამოწვეუ-ლია კომპერნიკისა და ნიუტონის სისტემის წყალობით. ტრიბუნებს მიწა, ბარბაციებს, იზიდავს მიწა - კაცი ეცე-მა! რა შეაშია აქ ღვინო?

სადგურ გურჯაანს ეწვია დამკვერელ მუშების ბრიგადა მას კაცი ვერას შეებედავს იქცევა იერიგადა. თუ გეტაშვილი დათვრება (ბრიგადის ხელმძღვანელია) ან თუ წამოწვა ბრიგადა, მის გაღვიძება ძნელია, გული მოუცა გეტაშვილს და იმის ბრიგადირებსა არტყამენ მჯიღებს მაგიდას და ასე დაუყვირებს:



— დამკვერელები ვართ, ჩაგმტყრეთ ემაგ ცხვირსა და ბირებსა... მოდი და ტარტაროზულად მართლაც ნუ შეგეცოდება. — ვინც დამრტყმელობად გაიგო — დამკვერელის სახელწოდება.

კამკამში ხარზავან თაგვან

„ქიათურის მალაროვთან არსებულ მე-შათა სასადილოებში ქუქუი და სობინძე-რება.—ჯარჯელის მალაროს სასადილოში მუშაშ კერძში აღმოაჩინა მოხარშული თაგ-ვი.“

მუშ. ელდას წერილიდან. რა არის ამაში სასაცილო, რომ ქიათურის წითელი სასადილო ვერ ემსახურება მუშებს ნამდვი-ლად და ზოგჯერ ისეთ რამესაც უმზადებს სადილად, როგორი-ცაა თაგვი და ხოჭო. აქ კაცმა მთლიანად უნდა მობოჭო მოკა-ლათებული ბიუროკრატები და დაიჩეკო როგორც ბატები, ხო-ლო სასადილოს მიუჩინო ნამდვილი ხელმძღვანელი, გინდ პერევისელი, გინდაც რგანელი, რომელსაც საქმისათვის შესტკივა გული და არ იქნება ისე თაგვადადებული, რომ მუშები ალაშქროს თავისი დაუღვერობით და ფონს ვერ გავიდეს მოქნილი ენამკვერობით.



კამკამში ხარზავან თაგვან

„დიღუბის მაუდის ფაბრიკაში ზეინკალ-მანტორად მუშაობს ჩაღალოვი—თავის ცოლთან ერთად. ჩაღალოვი მიელ დღეს ცოლთან მუშაობაში ატარებს და შრომი ნაყოფიერებაზე კი არ ფიქრობს.“

მუშ. ნეგრის წერილიდან. დიდუბის მაუდის ფაბრიკაში, რომელიც ტფილისშია და არა აფრიკაში — თურმე დედალ-მამალი გვრიტი მოფრენილა და, სამაქროში, რომელიც დაზგებით მოფრენილა, მთელ დღეს ისმის მათი განუწყვეტელი დღღუნი. დაჩრდილულია მათგან მანქანე-ბის გუგუნი და რა ჩაღალოვი მის ცოლს ეფერება, ამით სტირის შრომის ნაყოფიერება და ფაბრიკას თვითღირე-ბულება ეზრდება, მიტომ, რომ მამალ გვრიტს მუსაიფი არა ბეზრდება და აცდენს სამუშაო საათებს; თუ ის კი-დეგ ასე იმასლაათებს და არ დაივიწყებს სიმუღიანტო-ბას — ასეთი წამალი მოუხდება მაშინ, მის ხანტობას: ფაბრიკა ხომ არ არის გვრიტების გალია? ერთი პანტუ-რი უჭიროთ ძალიან



ქარკვება.



— ვარლამ, რას მერჩი! რა დამიშავებია შენთვის?
პარი. შარქიძემ: — შენ არაფერს არ გერჩი მე
მუშკორს დავეძებ!

„ბელსკავი“

სურამი

აჰ ჩვენს ეპოს მოველონა
თავდადომარეთ ერთი ვასო
საქმეს ღვინო ურჩევნია,
(ვერც თვით იტყვის ამის ვარსო).
სხვა რა გითხრა მე ვასოზე,
ტოლუმბაშათ კარგი არის.
„ეპოს“-სათვის მხოლოდ იგი
სულ შედგენი ბარგი არის.
რომ ჩაჯდება ძმა-ბიჭებში,
იქიფებს დღე და ღამე—
და ასეთ კაცს აბა ერთი
საქმისათვის კითხე რამე!
მაგრამ რა ვქნა, ცელქმა მუშამ
მან-მე მე არ მომასვენა—
ხანამ ვასო, ეს ამბავი
ტარტაროზს არ მოახსენა,
იდეგი და მეც გაგვირე—
ჯერ-ჯერობით მართლ შენა
ახე იყო თორემ, ვასო,
მე არ მსურდა შენი წყენა,
ვასო, შენსა ამხანაგებს
ფურჩვეთ თავი შეიკავონ,—
არ დაგიწუნ ქომაგობა,
ენა აღარ მოიკავონ.—
თორემ მათი საქმეებიც
ტარტაროზს კვლავ მიერთმევა,
და სახელი შესაფერი
თითო მათაც დაერქმევა.

სურამელი საბანა

გადაღება და 22 ივნისს გაიშვა
„ტარტაროზი“-ს სპეციალური
ნომერი ურფა-სსრკ-ს

გამფლანგველთა საშურადღებოდ
ქუთაისის ფოსტა - ტელეგრაფის ყოფილმა
ბულალტერმა ღვაწლით წოდინიშვილმა გახსნა

კურსები

სადაც ისწავლება: ორდერების გადასწორება,
ციფრების გადაკეთება, ყალბი ორდერების შედ-
გენა, საბუთების მოჭარვა და სხვა.
მისამართი: ქუთაისის გამსახლი.

(თარი).

გასწავლი

მსურველებს: ღვინის სმას, თრთბას, გინე-
ბას (მრავალ ენაზე), შევანშეობას, ჯარმაცობას,
ფულის შოვნას სხვადასხვა საშუალებებით და სხვა.
იკითხეთ ხვევის აღმასკომში (ოზურგ, მაზრა)
მდივანი უშანგი მამალაძე.

(კონი).

ბირუსი გარეშე სამსახურში ვაწყობ არა-
კავშირის წევრებს ყოველივე ბირუსი გარეშე და
გარეშე ორგანიზაციების რეკომენდაციისა, ულ-
მაზო ქალები ნუ შეწუხდებიან.

ბათუმის მეღსაწრომის კავშირის თავმჯდო-
მარი: მუჟანაძე.
(„იოლდაშ“).

მოკვრებასა და ნაცობ - მებოგრებს უო-
რის კოლპერატისა საქონლის განაწილების შე-
შესასწავლი

კურსები

გახსნილია სოფ. ზედა - საზანოში ადგილობ-
რივ კოლპერატისში, ყველა კოლპერატისების ნო-
ქრები ვალდებული არიან გაიარონ ეს კურსი. ის-
წავლება: ფასების მომატება (თავისი ჯიბის სასარ-
გებლოთ), საქონლის გადაამალვა, თეთრეულობისა
და შაქრის განაწილება მოყვრებსა და ძმა-ბიჭებში
დაწვრილებით იკითხეთ ზედა - საზან კოლპერატი-
ვის ნოქართან, დომენტი თურქაძესთან.

მ უ უ კ რ კ უ ი
(პიათურა)

„მეცქერი „კუკლებს“ ნახ თვალებიანს,
ვიტოინებში რომ მშვიდათ არიან.
ასე მგონია: ბავში ვარ ჩეოლი,
ვბტი ციბრუტივით და მიხარია,
ერთი ვაგონი „კუკლა“ გასაღდა.
იქნებ გონიათ თქვენ ეს ადვილი?!
რამდენი ვნახეთ ვირთხებისაგან
თავ-გატეხილი, გადმოვარდნილი.
ჰო—და, თუ ყველი ცუდი გამოდგა,
ნაცვლად „კუკლები“ ხომ კი კარგია.
ხომ შევისრულეთ სხვა საქონელში
ღეფიცატი და დანაკარგია!

შაკო.

მეგობრული უარაი


სახკომსაბჭომ 70.000 მანეთი მისცა არსებულ კალიასთან ბრძოლის კომისიას, მჯდომარეა ამხ. სიმონ ჯ. ლელი.

მიწსაბჭოთან
ბრძოლის კომისია
გიორგოთაძე



სიმონ უეეგა კალიას,
მიწას გაჰმონდა გრიალი,

მარჯვენა მხარი მოსტონა,
დააჰუგინა ღრიალი.



ეროვნული
წიგნების კავშირი



50 განეთი ან სურათზე უკეთესი წარწერებისათვის. კონკურსი
1-ლი ჯილდო—25, 2-ლი—15 3-ე—10 მან.




— რა მძიმეა ეს ოხერი!
— ნუ გეშინია, წისქვილიდან შენც ჩემსავით მსუბუქად წამოხვალ!

— კაცო, გუშინ ეს ჩვენი ნიკო რა სუფთად დაიარბოდა, — დღეს კი, შეხედე, როგორ დასერილია!
— ალბად წუხელის აბანოში იყო!

ბპ. კიკნაძე, სურამი

მ. ნაღიაშვილი, სამტრედია.

მის. ლომიძე ტფილისი.



— სად მიდიხარ იატაკის საწმენდ იარაღებით?

— კოოპერატივის სამკითხველოში, წიგნები უნდა გამოვიტანო და, თუ გამგებს იატაკი არ მოუწმინდე, წიგნს არ მიმცემს.

— ამ ჩვენს აფწულედში ძალიან ზრდილობიანი მოწაფეებია!

— როგორ!
— როგორ და, პაპიროსს გაკვეთილებზე ადარ ეწევინ... მხოლოდ დასვენების დროს ეწევინ!

— კაცო, ლექციებზე რატომ არ დადიხარ?

— რად მინდა სწავლა, სტიპენდია ქე დამინიშნეს და ფულებს ქე ვღობულობ!

ხ ა შ უ რ ი

ებრს ვა?ე ხარაზი.ფწე
სიტყვას ვიტყვი ნამდვილ მართალს:
მუშას უკან გაისტუმრებს,
მხოლოდ ნაცნობს აძლიებს ფართალს,
წინეთ იყო ის სურამში,
საქმე ვერც იქ მოავგარა;
ახარალა გამგეობას,
თანხა ცოტა არ აქმარა.

გადავხედოთ „ზეტკოს“ ტუფებს,
მუდმივ წახავთ „აურ-ზაურს“,
კერძოთ აბაზს თუ გაღიბდი,
აქ კი ნაღათ — ცამეტ შაურს.


ახალ გამგის საქციელი
მუნ გაგვიხდა მისათითი;
ტრაპაზობა არას არგებს,
გახდეს ცოტათ მუყაითი.

—
„გობანკშიაც“ შევიარე,
თანამშრომელთ ვნახე „ჩისტკა“.
„უმიზეზოთ“ ბრალსა სდებდა
გამგეს მისვე „მაშინისტკა“,
თვით ეს ქალი, მემანქანე,
საქმეს კარგად ვერ ასრულებს,
არმყოფა კარგი იცის,
„საქმიო“ კაცს გულს დაუწყალულებს.

საკანდიტროს მოვიგონებ,
სოფლ ახალი განსწილია;
შიგ მსახურთა საქციელი
ნამდვილ აღვირ-ახსნილია
ჯერ მოლარეს ავიწერავთ
„ბოკაძეა“ მგონი გვარად,
ხურდას მიზან ვერ მიიღებ,
ყველას აკლებს ერთავგარად.

—
ფოსტა ვნახე, ჩვენი ფოტო,
რომ მიმართა ახალ ბინას;
ძველი ბინა დასტოვა და
დღე და ღამე მითომ სძინავს!

ნეკტარი,



გამარჯობა ვარლამ!
შენ ეხლა გაგებულნი გექნება, რომ მე და ვახუშტი უკვე პარიზში ვართ.
განსოვს — როცა სამივე დავჯდებოდით ბათუმის ბულვარში და გავსაქროდით ზღვის სივრცეს?
ჩვენ ვოცნებობდით საზღვარ-გარედ გაპარვას.
— ბიჭო, საზღვარი აქვია; ჩვენი სივრცე იქნება, რომ არ გავიპაროთ! — ვლადიმერობდით ჩვენ.
რად ბევრი ვაუგარძელო, მე და ვახუშტი ეხლა პარიზში ვართ. (შენ რომ ტფილისში არ წასულიყავი იმ დღეებში, ალბად შენც ჩვენთან წამოხვიდოდით).
ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ გზაში; მაგრამ ჩვენს მიზანს — პარიზს მაინც მივალწვიეთ.
ჩვენი ყოფილი მთავრობის დახმარება გექონდა; მარა საწყლები თვითონ საჭიროებენ დახმარებას.
უიფერსიტეტში ვერ მოვეწყვეთ, მარა არა უშვას.
ბიჭო, ვარლამ, პარიზი მართლაც ისეთი მშვენიერი ყოფილა, როგორცაა წარმოდგენილი გექონდა. აქ ცხოვრება მართლაც ბედნიერებაა. ისეთი სასანლეები და სახლებია, რომ მანდ სიზმარშიაც არ მოგეჩვენებოთ. კაცის თვალი უკეთესად მორთულ ბინებს ვერ ნახავს. თვითუფლებურად მთელი სართული უკავია ბინათ. ცხოვრობს ღმერთივით. აი, ასეთია პარიზში ბინები. (თუმცა მე და ვახუშტი ამდენი ხანია უბინოთ ვართ და ღამეს საღამოსადმი ვათვით სანაგვე ყუთში, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, სახლების შესასვლელში, თუ მეკარემ არ შეგვნიშნა და გარედ არ გამოგვავდო).
პარიზის თეატრების და კინოების უკეთესი თეატრი და კინო, შეგონია არსად არ იქნება. ყოველ საღამომობით მილიონი ხალხი დადის შიგ, თუმცა მე და ვახუშტი უფულობის გამო, ერთხელაც არ გყოფილვართ კინოში...

რბ გინდა, სულო და გულო, აქ რომ არ იშოვებოდეს! პარიზი ხომ იცი — მოდების ქალაქია. მართლაც ასეთ სა-

უცხოვო და მშვენიერ საცმელს ვერსად შეხვდებით... მართალია; ჩვენ მანდღან წამოღებულ დახეულ შარვალსა და ხალათში დავდივართ, მაგრამ აქ ყველას მშვენიერად აცვიათ.

შენ უნდა ნახო — ქუჩებში როგორი მოძრაობა! ამდენი ტრაპევი, რკ. გზა, ავტომობილები, ეტლები მგონი ზოგიერთ სახელმწიფოებშიაც არ იქნება. მათში ჯდომას რა სჯობია, თუმცა ჩვენ უფულობის გამო შიგ ვერ ვჯდებით და ქვევითი სიარულისაგან ფეხის გულზე ტყავი გადაგვცვრია.

საქმელ — სასმელი ხომ პარიზის მოგონილია. ყოველდღიურად უამრავი ტკბილეულობა და მამპანიური სალდება. ნეტა განახვა, როგორ მდიდრულად სადილობენ აქაური ბურჟუები! შე და ვახუშტი ავეტუშებით გავეს კარებს და ვუტყუროთ მათ მაღიან ჭამას. პირში ნერწყვი მოგვდის, მარა საღა გვაქვს განვრეტილი გროში, რომ ერთი პონჩიკი ჩვენც ვიყიდოთ და მათ ჯინაზე ჩვენც ჩავიტკბანუროთ პირი.

ბი, ასეთი კარგია, ჩემო ვარლამ, პარიზი. გიცი შენც გინდა აქეთ წამოსვლა ბათომიდან. კარგი საქმეა.

ვარლამ, თუ წამოხვიდე, ჩვენებს გააგებინე და წამოგვიღე: ორი ფუთი მკადის ფქვილი (დამშუფული ვართ, ძმაო!), ოთხი კილო ლობიო, ჩვენი ძმების გამოწაცავილი საცვლები (ეხლა ქვეშ არაფერი გვაცვია) და, რაც მთავარია, საჯაო ფული, რომ აქედან მალე დავბრუნდეთ უკან ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში.

აბა შენ ცი თუ შეასრულებ ჩვენს თხოვნას. (პირში უნდა აღზანაგს შეველა. ჩვენ ამაზე უარესი პირი აღარ ღაგვემართებდა!).

გელოდებით პარიზში. აუცილებლად წამოდი... აქ პირდაპირ საშობებია.

მალე წამოდი, წამოსვლა გეინდა. **ისელი.**

უეზინეზულნი (ამბავი ხდება მ. ბათუმში)

ნარიმანი: — დაუჩქარე, ნინა, შენი ქირიმე დაუჩქარე!
რკ. გზ. მუშა: — რა ქენით, გააწყვეთ სტოლი? უკვე წამოვიდენ და მალე მოვლენ.
ნინა: — მოვლენ თუ არა და, რუსეთიდან არიან ჩამოსულნი (შემოდის რკინის გზელი მღშა).
ნარიმანი: — რამდენი არიან?
რკ. გზ. მუშა: — სამი...
ნინა: — ვინ არიან?
რკ. გზ. მუშა: — სადგურის უფროსი, რევინოროი კიკნაძე და კონდუქტორი ანდრეულოძე, აი აგერ მოდიან უკვე.
უფროსი: — ჩვენ მთვრალეები ვართ და იმედია არ დავგძრხავთ.

ნარიმანი: — რაე გეკადრებათ, ჩემო კარპოზ... (სადგ. უფროსი და რევინოროი მღერაინ) შემიწვია ღმერთი, რომ მთვრალეები არიან, თორემ სამი ფუთი ღვინო არ ეყოფოდათ.
რკ. გზ. მუშა: — (ნარიმანს ჩუმათ) გააწყვე სტოლი ბარემ და მათ მალე მოუგრებ კისერს, სუფრას მალე გააწყობენ, შემოუსხდებიან. დიდხან სვამენ).
ნინა: — (შემოვარდება) ნარიმან, კოწია მოვიდა და გხმობილობს.
ნარიმანი: — ვინ კოწია?
სადგ. უფროსი: — კოწია ბიბილეიშვილი ხომ არ არის?
ნარიმანი: — დიხ ისაა.
ჟველანი: — (მოწყენით), ქე არ

ჩავიშარა მაგ ოჯახ დაქცეულმა ეს ტკბილი კამპანია!
სადგ. უფროსი: — გაგვაპარე აქედან, ნარიმან ისე, რომ თვალი არ მოგვკრას, თორემ დავილუშავით. (მიბარბიან).
ნარიმანი: — (გაბრაზებით) მომჭერი, ქალო, თავი? შემარცხვინე ასეთ ამბანაგებში?
ნინა: — მა რა უნდა მექნა, კაცო, ტიკში სამი ბოთლის მეტი ღვინო არ იყო!
ნარიმანი: (გადაეხვევა) შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ქე არ გამომიყვანე კაცი სირცხვილიდან!) ჰკოცნის):
პინპილაძე.



(ბათოშვილი „გასაიხრება“).

ტრადიციულად დავარქვი ამ წერილს „ბათოშვილი გასაიხრება“, თორემ გეფიცებით ჩემს მეხუთე წყება ცოლ-შვილის სიცოცხლეს, რომ სეაჩნობის გუნებაზე სულაც არ ვყოფილვარ, როცა ბათოშვილი ჩავედი.

ჩემი ბრალია: გულჩვილი კაცი ვარ: მეცოდება დახარებული ადამიანი.

ბათოშვის საბარგო სადგურზე გავლამ კი, მე კი არა, ყველა მგზავრებს გული აუყუჩა და ყოვ მათგანს თვალიც აუტყრემლდა:

ამ სადგურზე არ გაჩერდა ტფილისიდან მომავალი ჩვენი მატარებელი: ჩამოსასტრომათ გამზადებული მგზავრები კი ბევრი იყვენ: უმეტეს ნაწილად ძუშები. ბევრმა მათგანმა „ივა-შუკაცა“ და გაქანებულ მატარებლიდან გადახტა.

ჩვენი თვალისწინ პანტასავით სცვი ოდენ რიზოდებიდან: კალათები, ტომრები, ხურჯინები, ღვინით სავსე ტიკები, თვითონ მგზავრები, და ამ მგზავრებთან ერთად სცივიოდენ მათი მოტეხილი ცხვირები, ხელები, ფეხები, კბილები და გატეხილი თავის ქალები.

ამ კატასტროფის შემდეგ რაღა სერიზობის „ხოში“ შემჩრებოდა?

— პატარა პერ-წყალი „წავაიმასქნათ“. ნამგზავრი ხარ, მოგვიხდება! — მითხრა — სადგურზე შეხვედრილმა ტარკორმა.

მოკლე ხანში სასადილოში გავჩერდით.

— რა საჭმელი გაქვთ, ამხანაგო? — შევეკითხე მომტანს.

— ყველაფერი გვაქვს, რას ინებებთ?

— ხარჩო მოგვიტანეთ!

— ხარჩო არ არის!.. სხვა ყველაფერი გვაქვს.

— სოუსი!

— არც სოუსია!..

— ბევრტექსი!

— არც ბევრტექსი!.. დანარჩენი ყველაფერი გვაქვს.

— კატლეტი მოიტანეთ!

— ა! წუთში! — და სამზარეულო-საკენ გაბრუნდა, მაგრამ შუა გზიდან ისევ შემობრუნდა და დარცხვენით გვეითხრა:

— გამოლულა... აღარ არის!..

— საშეფო საზოგადოების სასადილოში წავიდეთ! იქ ყველაფერი იშოვება — მიიჩნია ტარკორმა.

გავსწიეთ.

როდესაც საშეფო საზოგადოების სასადილოს მივუახლოვდით, რაღაც ზუსტად შეიმჩნა.

— ალბად გემი მიდის ნავთ სადგურიდან, იქნებ ახალი სამგზავრო გეგმა — „საქართველო“, ნეტავი მენახა! — ვუთხარი თანამგზავრს.


— გემი კი არა, ბუზები ბუზიან, ალბად მუქთი პურმალილით გამძლარან და ბალეტის ხოშზე არიან, აქაურ ბუზებსაც აქვთ თავიანთი ესთეთიკა, საკუთარი რეპერტუარი; აქვთ საკუთარი კლასიური ორგანიზაცია და პროგრამა — მინიმუმი: მომხმარებლის პოზიციების დაპყრობა და სუფრაზე ბუზების დიქტატურის დამყარება.

ამ ლაპარაკში საშ. სახ. სასადილოს კარებს მივადექით, სადაც ნათლად დავინახე ბუზების და მომხმარებლების ვაცხარებული ბოძოლის სურათი.

— მოსულან, მოსულან! — შემომესმა ვიღაცას ხმა, როცა სასადილოდან გამოვედი.

— მოსულან! — კიდევ შემომესმა ხმა, როცა რამოდენიმე ნაბიჯი გავიარე. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ბავშვების გარდა ვერავინ შევამჩნიე.

— ცირკი ჩამოსულა! ვერ ხედავთ ბიჭებო? კლოუნები! ჭრელი ხალათები ჩაუცვამთ!



...პანტასავით სცივიოდენ მოტეხილი ცხვირები, ხელები, ფეხები, კბილები...

— კლოუნები.

— კლოუნები. ისევ შემოსმა აქეთიქიდან.

მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ჭრელ ხალათიანი ვერავინ ვერ შევამჩნიე.

ცოტა ხნის შემდეგ მთელი ბავშვების ჯგუფი ავედევნა. „მოსულან! მოსულან!“ ძახილით.

— სად არიან კლოუნები? — დაიძახა ვიღაცამ.

— აგერ, ვერ ხედავთ? ორიბ ერთათ: ჭრელ ხალათიანები. უპასუხა მეორემ და ხელები ჩვენ მოგვაშვირა.

რა ჭრელი ხალათი, რის ჭრელი ხალათი! გარკვევით ვიცოდი, რომ მეც და ჩემს ამხანაგსაც თეთრი ტილოს ხალათები გვეცვა, ისიც გაუთოვებულ — გაკრახმალეული, განსაკუთრებული მოწიწებით ჩავიტანე და ჩვიცი ბათოშვი, რომ ამ ბუნების სილამაზით ცნობილ ქალაქში ჩაკრახმა-

ლებულ - ჩაკოხტავეტულ — გამოვესქა ლიყავი.

- რიქიკ!
- რიქიკ კოსმაჩიი!
- რიქიკი, რიქიკი!
- ბრავო,
- ბის! — მოგვესმა ისევ ყვირილი.

ახლა კი მოთმინებიდან გამოვედი. ამხანაგისკენ მივიხედე და უნებურად შევხედე მის ხალათს. გარკვევით დავინახე, რომ მისი ზურგა და სახელოები დამხრჩვალ მოლალურის ბუმბუღივით იყო აჭრელებული. დავიხედე ჩემი ხალათის სახელოებზე: ნაკლები ღლე არც მე დამდეგომოდა.

როგორც შემდეგში გამოირკვა ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების სასადილოს კედლები ახალი შეღებილი ყოფილიყო, ჩვენ კი არავის გაუფრთხილებივართ და ამის შედეგი იყო ჩვენი „გაკლოუნება“.

იმ წუთშივე მეეტლეს დაუქმბსეთ და სასტუმროსაკენ გავიქცეით ტანისამოსის გამოსაცვლელათ.

მცირე მანძილი, რომ გავიარეთ მილიციელის სტვენა მოგვესმა, ჩვენს წინ ცოტა მოშორებით ქუჩაზე ხალხის პროცესია მოდიოდა. ჩვენს მახლობლად კი, მილიციონერს ხელი ჩაეგლო ვიღაც მოქალაქისათვის, რომელიც საღაც გარბოდა.

— სად მირბიხარ? — ეკითხებოდა მას მილიციონერი.

— მიცვალეხულის ბინაზე! — მოგვესმა მოქალაქის პასუხი.

— მიცვალეხულის ბინა კუბოა, კუბოში ჩაწოლა გინდა?

— კუბოში კი არა, მისი ოთახი მინდა დავიკავო. მოკვდა, — მამასაღამე, ოთახი დაიკლებოდა, — უპასუხა მან.

— ასეთი შემთხვევა ხშირია ბათოშვი, გვითხრა ჩვენმა რწმუნებულმა პ. ობოლმა. თუ ბინის მოვნა გინდა, ან მართლაც ცარიელ კუბოში უნდა ჩაწვე, ან მიცვალეხულის ყოფილი ბინის კარები უნდა შეამტერიო; ისე კი — აღმასკომისაგან ბინას ვერ მოქსწრები. თქვენ სად ჩამოხტითო ამხანაგო? შემეკითხა პარმენი.

— სასტუმრო „იტალიაში“, „ნუკა, ვასტანცას“ — რომ უქაიან. ცარიელი კუბო რომ გამახსენდებოდა კი, მეც აღმე მეკუბოვეთან ჩამოხტებოდა. დანერწმუნე, რაო „ნუკას“ სასტუმროს არც ფართობით, არც განათებით და არც დანარჩენი სანიტარულ — ჰიგიენური პირობების მხრივ არ ჩამოუფარდებოდა — ვუპასუხე მე და ვადავწყვიტე იმ დღესვე ტფილისში დაბრუნება.

მედუზა.



აჭარულ-გურულ-მეგრული სცენა

გურული: — ძამიავ, აგერ გადავირევი კაცი, ამდონი მიდგომ-მოდგომაც აღარ მინახავს.

მეგრული: — მუსრაგადა სიკოჩი, რა დაგეპართა? რა ამბავი მოხთა ქომიწი სკანი გოლიაფირე!

აჭარული: — რამ გაგადელა ქოვ? რაზე ხარ დილხორი მითხარი?

გურული: — რა ამბავია და იგი რომ, ყოველთვის პროტექციას ჰქონდა ადგილი, მარა საბჭოთა რესპუბლიკაში ამას თუ გაბუდადენ აღარ შეგონა.

მარა ფინთი და ოხერი ქვეყანაზე აღარ შეისპობა. ამდონი ხანია მინდა შარვალი შევიკერო, მარა აი ჩვენი ადგილკომი რომ არის ძამიავ, შარვალის ორდერებს ნაცნობებს და მეგობრებს აძლევს და მე აგერ შარვალი მიძერება. (იკიდებს ხელს შარვალზე).

მეგრული: — ჯიმაია, ისეა საქმე, მეც ასეთ მიჭირს სიკოჩი.

აჭარული: — ეილა ქოვ, მეც უშარვალო ვარ, ტოლრი უნდა გითხრა, აი ჩვენი ადგილკომი ჩემი ხელიდან მოსაჯიოთია. ამდონი ფართალი

მოდის და „ტალონს“ მის ნაცნობს აძლევს ყარდაშს. ასე ყოფილა ჩვენი ყისმეთი, რა მოგვივიდა აი იბრეთი.

გურული: — წავიკითხე, ძამიავ, გაზეთში — მოსკოვიდან საქონელი მოდისო., გევიგე თუ არა, ვირბინე, და ვირბინე, გადავხტი ფაიტონს, ხეს, ლუქანს, და შლეკა გავაყრიე, ძამიავ, ადგილკომთან, მოგსთხოვე ტალონი. გათავდაო მითხრა, გევიხედე ერთს გამოუტანია საშარვალე, მეორეს, მესამეს და შენმა ოსიკელამ დაჯდეს და ჩეჩოს მატყლი.

მეგრული: — მეც ასე ვქენი, პატენი. როცა გევიგე ფართალის მოსვლა, მივედი ადგილკომში მარა ატკაზი მიწუ.

აჭარული: — მეც დამიღინგლე, ქოვ, გევიგე თუ არა ყიზეთში ფართლის მიღება, შევში ადგილკომთან და შივეხვეწე: ფაშავ, შარვალის ტალონი მომეცი-მეთქი.. გათავდაო, მითხრა.

გურული: — არა, მიკვირს ძამიავ, აი ტალონი ყველას დუფრიგეს

და ჩვენ კი დავრჩით სპარტათ. აი მიდგომ - მოდგომაც ამას ქვია.

მეგრული: — სიკოჩი, მუეშმაკოვა დაიწყეს. სი გიჩთ ირიფელი, აი საქმე რაფერ კეთდება.

აჭარული: — ტოლრი უნდა გითხრა აი საქმე გერეკ გასაკვირია. ქოვ და ფართალს ყველას უგზავნიან, აგინი კი ნაცნობებს აძლევენ.

გურული: — აი, ძამიავ რა საქმეა. აქანაი კარტის თამაში ყოფილა! ვინც მოუსწრობს, იგი ღებულობს ფართალს, ასთე თუა, იმისანა გევიტყევი, რომ კატა ვერ მომეწევა.

მეგრული: — ენა ვარი ჯიმაია, რულაშე ცხენი ვეგმოჭიშუას.

აჭარული: — რას დელომ, ქოვ! ჩემისთანაი ზოგელი გატყევა ვინ იტის? რომ მევინდომო, ყურუშიმი ვერ დამეწევა.

გურული: — ნუ გეშინია ბიჭებო, ვინც ასთე პროტექციით აკეთებს საქმეს, იმას ბოლოს არ მოუცა კაი. ჩვენც ვიცით გზაი, ვაძახოთ იგინს ვაი, დუშუშინოთ ქვია, ჩუშმტვრიოთ ყბაი.

ბუჯგუთი.

გ ო ლ ო რ ი

ხლისტს (ქუთაისი) შე კაი კაცო, თუ კი: გაბუნია ვლადიმერი დენიკინის ოფიცერი საბჭოების არის მტერი, აღჩუზე აქვს მაინც ცერი. მოკალათდა აღმინგანში, ვერ ეტევა თავისს ტანში. მუდამ დადის რესტორანში, დანავარდობს მთელს უბანში, — რალა ჩვენ გევიგზავნი, ხლიატი წუნა ხარ და ერთი მაგრად გადაუჭირე. ხოლო თუ ამან ვერ უშველოს, აი, შემდეგ „გვიფეშქეჩეთ“ ჩვენ

პავლე-ლალეს (სამტრედია). გულნატკენი რომ არ დარჩეთ ჩვენზე, გიბუტდავთ ლექსს ბათომის რადიოს შესახებ:

— რაშია საქმე? — მოდით, იკითხეთ რომ შემოუჩნდა ის სამტრედიას. ის ჩვენს რადიოს აძახებს „ხი-ხი“-ს და დღეს გვიტირებს ყველას დედას.

აღბად წინედ გამოგზავნილი ლექსებიც ასეთი იყო და ამიტომ არ დაგვიბეჭდია, ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ „გოდორში“ არ გიბასუხეთ, — პატივი გიციია თქვენთვის, და ამისთვის საყვედურს რას გვემართლებით?

ბუსინის (შემოქმედი, გურია). სამკითხველოს გამგებზე სწერთ:

ორი სიტყვით მოგახსენებთ როხორია ჩვენი შალვა: ხშირად უყვარს მას წიგნებში დვინის ბოთლთა გადამალვა ქალთა ტრფობა, ბნელა, დაგვა, შორით კდომა, შორით აღვა მკითხველს მართებს მორიდება, მისი ჰქონდეს შიში-კრძალვა.

როცა რუსთველისათვის მიგბაძავთ, ლექსი კარგი დაგიწერიათ, ხოლო, სადაც საკუთარი თქვენი შემოქმედებაა, იქ არ ვარგა თქვენი ლექსი.

მინაშვილს. სოფ. ძველი - აბაშის (სენაკის მაზრა) პირველ სამკითხველოზე, ასე სწერთ:

უპატრონო სამკითხველო

ტარტაროზო, უნდა გითხრა ჩვენი სამკითხველოს ბედი: მუდამ ხშირი წვიმისაგან დამპალი აქვს გვარი, — ხოლო მეორე სამკითხველოზე, ასე:

უპატრონო სამკითხველო

ქოხო ჩემო, ბედი არ გიწერია, ჩანგსაც მართლაც შენთვის არ უფურია. გულო ჩემო დადაგულო, დელია...

ქოხო ჩემო ბედი არ გიწერია. ტარტაროზი ამის წაიკითხვის შემდეგ უცბად ლექსის წერის ხოშზე მოვიდა და თქვენი ლექსი ასე განაგრძო: კაცო, გვითხარ, ეს რა დაგიწერია?! თქვენს ლექსს მართლაც ბედი არ უწერია.

კომბალას. თქვენი „გულხის სიმღერა“ ასე იწმუება:

როცა მივიღვართ ქალაქში, ჩავხედებით ყველა ტივშია, ღარიბი გლენი შევერთდით, შევდივართ კოლექტივშია.

აღბად კოლექტივში ტივით იმიტომ შესულხართ, რომ რითმა გამოგენახათ კოლექტივისათვის. ისიც შესაძლებელია — კოლექტივში იმიტომ შესულიყოთ, რომ ტივისთვის რთმა გამოგენახათ. ტრაქტორზე როცა დავხსდებოთ, ვიტყვით სიმღერას ტკბილსაო ჩვენ ყველა ბედნიერი ვართ, კულაკებს ვაძრობთ კბილსაო.

აქაც მხოლოდ რითმის გამო დაგიძვრიათ კულაკებისათვის კბილები.



თუჯის და ლითონის მსხმელი მემანქანური ქარხანა

პატარმრეწველთბის

ქ. ბათონი, ბაქოს ქ. № 50.

აწარმოებს შეკვეთების შესრულებას ყოველგვარ
მექანიკურ

შეკეთებებს და მანქანების ნაწილების დაგზადებას

აგრეთვე აწარმოებს ჩამოსხმას თუჯის და ლი-
თონის ნაწარმოებისას.

დებულობს შეკვეთებს

ხიდების გასაკეთებლად

და სხვადასხვა

სამუშაო სამუშაოებს

პა. ბათონის საბჭო

ამით აცხადებს, რომ ქარაო
მოიჯარადრბიდან

გამტრთმეული

სასტუმრთმეი

„ფრანცია“ ორჯონიკიძის ქ. № 8 და

„აჭარისტანი“ შმიტის ქ. № 2

კავიტალური შეკეთების შედეგ
ანარმოებს სტუმრების მიღებას.

აგრეთვე ამ დღეებში დამთავრდება კაპიტა-
ლური რემონტი სასტუმრო

„ინტერნაციონალისა“

ქუთაისის ქ. № 8, რომელიც გამოყოფილია სპე-
ციალ ურად საზღვარ-გარე ელ ტურისტებისათვის

საპ. სახვამტრბის

აჭარისტანის განყოფილება

თანხმად ჩ/ცენტრალური სამმართველოს გან-
კარგულებისა ა.-წ. 1-ლი აპრილიდან განაწი-
ლებულია ორ დამოუკიდებელ დარგად:

საკომერციო განყოფილება,

რომელიც აწარმოებს საბითუმო და საცალო
ვაჭრობას ფართე მომარაგების საგნებით

და

„მრეწველთმეო მარაგება“

რომელიც აწარმოებს აგრეთვე საზითუმო და
საცალო ვაჭრობას სამრეწველო და საამშე-
ნებლო საგნებით

საკომერციო განყოფილებას აქვს სამი სავაჭრო წერტი:

ორჯონიკიძის ქ. № 16, ქუთაისის ქ. № 45 და
ქუთაისის და ლიუქსენბურგის ქ. კუთხე №№ 5

„მრეწველთმეო მარაგებას“ აქვს შემდეგი სავაჭროები:

ორჯონიკიძის ქ. № 9-7, კამოს ქ. № 5, ცხა-
კაის ქ. № 43 და ქ. ოზურგეთში სატყეო სა-
მსალო საწყობი.

საპ. სახვამტრ. აჭარ. განყოფ. — ბა.

ბათონის

საბინაო საიჯარო კო- ოპერატიულ ამხანა- გობას აქვს:

საზოგადოებრივი სამზა-
რეულოს წერტი:

სადურგლო სახელოსნო,
კრა-კერვის სკოლა და

საკუთარი სააღმშენებ-
ლო მასალის საწყობი.

გამგეობის თავმჯდომარე: ბ. ცინცაძე



სააპ. საზ-ბის „საბჭოთა დასავლეთ ფლტბის“ გათომის განყოფილების ნათსადგურის სამმართველოსთან შეერთების გამო, საბჭოთა ფლტბის სამმართველო

გადავიდა ამ უკანასკნელის შენობაში შმიდტის ქუჩა № 14, სადაც შეუძლიანთ მი-
მართონ დაწესებულებებმა და დაინტერესებულმა პირებმა,
მმართველი ბრ. ბ უ კ ი ა

**ა.-კ. სასკაჭრობის
გათომის განყოფილება
უილუტოვს ნოსეოვს**
წინადადებით მიმართეთ კანტორაში
შმიდტის ქუჩა № 1
(საბაჟოს სახლი) ტელეფონი № 41

**ЦИНКОВЫЙ ЗАВОД АДЖАРПРОМ
— БАТУМ —
НАРСКАЯ УЛ. № 29
ИЗГОТОВЛЯЕТ
Пластичные принадлежности
ведра, лаханки и другие ацинованные
изделия**

აჭარისტანის წითელი მუშაკის კომიტეტის წარმოება-დაწესებულებანი:

- | | |
|---|--|
| 1. სამმართველო, ორჯონიკიძის ქ. № 14. | 7. აფთიაპის მაღაზია № 1, ლენინის № 18. |
| 2. აფთიაპი, ინტერნაციონალის № 10. | 8. აფთიაპი მაღაზია № 2, ასათიანის № 4. |
| 3. ცენტ. აფთიაპის საფუოვი ინტერნაც. № 4. | 9. " " № 3, ორჯონიკიძის № 48 |
| 4. მინწულების და გაფების საფუოვი კამო № 6. | 10. " " № 4, ლენინის № 60 |
| 5. სასტამბო-ლიტერატურის კამარა ლიტერატურის № 18 | 11. მინწულების მაღაზია, შმიდტის № 4. |
| 6. საკომისიო მაღაზია ასათიანის № 4. | |

აჭარისტანის ჯანსაღკომისარიატის საავთიქო სამ- მართველო ქალ. გათომი

აწარმოებს გაყიდვას ყოველგვარ საპარფუმერიო-კოსმეტიურ და სანიტარიის და
გიგიენის საგნების, ავადმყოფების მოსაფლელი ნივთების მინერალურ წყლებსა
შემდეგი წერტებიდან:

- | | |
|---|-----------------------------|
| 1. ცენტრალურ საფუოვიდან ლენინის ქუჩ. № 22 | |
| 2. სანიტარიის და გიგიენის მაღაზიიდან | № 1 ინტერნაციონალის ქ. № 13 |
| 3. " " " | № 2 კოპერაციის ქუჩა № 44 |
| 4. " " " | № 3 ლენინის ქუჩ. № 22 |



მაკდონალდი: როგორ?! ეს რა არის, რომნაციონალურ ტრადიციისთვის გილატინა და თავზე ინდიური ჩალმა დაგისურავს?!
— ბატონო ჩემო, ეს ჩალმა არ არის... თავში დამჭრეს და მარლით მაქვს თავი შეკრული.